

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

anrs.gov.ge



სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვა.

აღნიშნული მიზნის შესაბამისად, სააგენტო შეიმუშავებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის პროექტებს, თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ახორციელებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციასა და ინსპექტირებას, ასევე, რადიოაქტიური ნარჩენების მართვასა და ბირთვულ ან/და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას.

კანონმდებლობის შემუშავების სფეროში სააგენტოს საქმიანობა

რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს განმსაზღვრელი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წელს იქნა მიღებული. ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოშობილი საჭიროებებისა და მოქმედი რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2023 წლის 16 ივნისს. კანონის მოსალოდნელი ზოგადი შედეგი მარეგულირებელი რეჟიმის გაუმჯობესებაა, მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით, რაც აუცილებელია ადამიანისა და გარემოს დასაცავად მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.

როგორც ცნობილია, მაიონებელი გამოსხივების წყაროები (როგორც რადიოაქტიური წყარო, ისე გენერატორი) აქტიურად გამოიყენება განათლებაში, მეცნიერებაში, მრეწველობაში, მედიცინაში, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სფეროში და სხვა მიმართულებით და მასასა და მდამიანთა ყოველდღიურობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ტექნოლოგიური პროგრესისა და წარმოშობილი საჭიროებების პარალელურად, იზრდება მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენების მასშტაბიც და რაოდენობაც.

მიუხედავად დამახასიათებელი ბენეფიტებისა, მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენება დაკავშირებულია რისკებთან, გააჩნია რა პოტენციური, მაგნე ზემოქმედება მოახდინოს ადამიანსა და გარემოზე. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით წყაროებთან საქმიანობის რეგულირებას. მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა უნდა გადაწონოს მაგნე ზემოქმედების რისკები - აღნიშნული პრინციპის უზრუნველყოფაა რეგულირების, მარეგულირებელი მოთხოვნების დადგენის, შესრულების კონტროლისა და იძულებითი ღონისძიებების იმპლემენტაციის მიზანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტომ შეიმუშავა ტექნიკური რეგლამენტის - „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ ცვლილების პროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად.

სააგენტოში შემუშავდა და დამტკიცდა „სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს 2024-2029 წლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“.

ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, განხორციელდა თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ პროცედურების აღწერა. შემუშავდა აღნიშნული პროცედურების სამუშაო ვერსიები. შემდეგ ეტაპზე დაგეგმილია შემუშავებული დოკუმენტების დამტკიცება და პრაქტიკაში გამოყენება მარეგულირებელ კანონმდებლობაში აღწერილი პროცედურების უფრო ეფექტურად განხორციელებისა და სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სააგენტომ შეიმუშავა საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტები „ბირთვული და რადიოაქტიური მასალების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესი“ და „ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციის დროს ნიმუშების აღების წესი“.

ავტორიზაციის სამსახურის საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია აღნიშნული საქმიანობის ავტორიზაცია, რომელიც გულისხმობს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას.

2024 წელს გაიცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 71 ლიცენზია, უარი ეთქვა - 3 ორგანიზაციას, გაუქმდა 64 ლიცენზია.


ლიცენზიის მფლობელ 99 ორგანიზაციას მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება, რაც გულისხმობს სააგენტოს სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვას არსებული სიტუაციის რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და შესაბამისი დასკვნის მომზადებას.

ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 35 ნებართვა მაიონებული გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე, ტრანზიტსა და შეძენა-გადაცემაზე. ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა - ერთ ორგანიზაციას.

საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად, პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე, სააგენტოს წარუდგინოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება:


- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი პირების რაოდენობამ, ვისაც ეკუთვნოდა 2024 წელს პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე 2023 წლის ანგარიშგების ჩაბარება, შეადგინა - 957.
- სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება დროულად ჩააბარა - 854 ორგანიზაცია.
- სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება არ ჩააბარა - 103 ორგანიზაცია (ამ რაოდენობაში შედის 12 ორგანიზაცია, რომელიც არის გაკოტრების რეჟიმში, ლიკვიდირებული ან რეაბილიტაციის რეჟიმშია).
- სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება დაგვიანებით (30 აპრილის შემდეგ) ჩააბარა 28 ორგანიზაციამ.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის გამოწერის თაობაზე გაგზავნილი იქნა - 90 შეტყობინება, საიდანაც სააგენტოში დაბრუნდა 49 შეტყობინება (სხვადასხვა მიზეზის გამო).
- გამოწერილი იქნა 41 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

ავტორიზაციის სტატისტიკური მონაცემები (2023-2024 წელი)



შენიშვნა: მონაცემები დამუშავებულია მიმდინარე წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით.

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება (2022-2023 წელი)



ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზებული პირების მიერ საქმიანობის განხორციელებისას სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პირობების დარღვევის გამოვლენის მიზნით 2024 წლის გეგმური ინსპექტირების პროგრამით დაგეგმილი 120 ინსპექტირებიდან განხორციელდა 108 ინსპექტირება. ინსპექტირება გაუქმდა 12 ობიექტზე (საქმიანობის შეჩერებისა და ლიცენზიის გაუქმების მიზეზით).

საერთო ჯამში, ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურმა განახორციელა 119 ინსპექტირება: 108 გეგმური და 11 არაგეგმური, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პროფილის მქონე ორგანიზაციებში.

ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა 34 ორგანიზაციაში, რაზედაც შედგენილი იქნა 57 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. გამოწერილი ოქმების შესაბამისმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 34 600 ლარი. დარღვევები გამოვლინდა ინსპექტირების ობიექტების 28.57%-ში. ხოლო 2023 წელს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა გამოვლინდა 20 ორგანიზაციაში, რაზედაც შედგენილი იქნა 34 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. 2023 წელს გამოწერილი ოქმების ჯამურმა თანხამ შეადგინა 17 700 ლარი.

გამოვლენილი სამართალდარღვევები განაწილდა შემდეგნაირად:

592 მუხლის 1-ლი ნაწილით გამოიწერა 12 ოქმი (რადიაციულ უსაფრთხოების საკითხებში გადაშვადების ვალდებულების დარღვევა);

592 მუხლის მე-2 ნაწილით გამოიწერა 17 ოქმი (ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაში განხორციელებული ცვლილებების შეუტყობინებლობის და დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა);


592 მუხლის მე-3 ნაწილით გამოიწერა 17 ოქმი (მონიტორინგის ხელსაწყოების გამოყენების ვალდებულების დარღვევა);

592 მუხლის მე-5 ნაწილით გამოიწერა 2 ოქმი (ბირთვული და რადიაციული ობიექტის, რადიოაქტიური წყაროების ფიზიკური დაცულობის დარღვევა);

592 მუხლის მე-6 ნაწილით გამოიწერა 7 ოქმი (საქმიანობის გაფართოების შესახებ შეტყობინების ვალდებულების დარღვევა);


592 მუხლის მე-8 ნაწილით გამოიწერა 2 ოქმი (არა-ავტორიზებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის წარმოება).

ინსპექტირების შედეგები




გამოვლენილი დარღვევები ძირითადად ეხებოდა: ლიცენზიის მფლობელის მიერ ბირთვული და რადიაციულ საქმიანობისას დოკუმენტაციის წარმოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობას, ასევე რადიაციული უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის გადამზადების კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევასა და ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეტყობინების მარეგულირებელი ორგანოსათვის წარდგენის ვალდებულების დარღვევას. ასევე დარღვევები დაფიქსირდა ბირთვული და რადიაციული ობიექტის, რადიოაქტიური წყაროების ფიზიკური დაცულობის დარღვევის შემთხვევა. ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის მიერ გამოვლინდა ორი არა ავტორიზებული საქმიანობის ფაქტი.

გამოვლენილი სამართალდარღვევების დინამიკა ასკ-ის 592 მუხლის ნაწილების მიხედვით:



ინსპექტირებისა და გამოვლენილი დარღვევების დინამიკა 2019-2024 წლების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტების მიერ განხორციელდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე და შემოსულ შეტყობინებებზე - 21 რეაგირება.

- 2024 წლის 19 მარტს რეაგირების მიზნით განხორციელდა ქ. ფოთის პორტში, სატვირთო მანქანების რადიოლოგიური შემოწმება, რომლებმაც რადიაციულ პორტალურ მონიტორში გავლისას გამოიწვიეს რადიაციული განგაში.
- 2024 წლის 30 მარტს განხორციელდა რეაგირება ბათუმის აეროპორტში, რადიაციულ პორტალურ მონიტორში მგზავრის გავლისას გამოწვეული განგაშის საფუძველზე.
- 2024 წლის 28 მაისს მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა რეაგირება რადიოლოგიური გაზომვების მიზნით წალენჯიხის რაიონის, ქალაქი ჯვრის, ოჭანეს უბნის, ე. ფიფიას 23 ში მდებარე მოქალაქე ბესიკი ჭკადუას საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე.
- 2024 წლის 16 ივნისს განხორციელდა რეაგირება შპს „Maika.ge“-ს მაღაზიაში (წერეთლის გამზირი N2) საბჭოური წარმოების დოზიმეტრი DP-5-ზე დამონტაჟებული რადიოაქტიური ნივთიერების ამოღების მიზნით.
- 2024 წლის 6 აგვისტოს განხორციელდა ბათუმის პორტში ორი სატვირთო ავტომობილის რადიაციული შემოწმება, რომლებმაც რადიაციულ პორტალურ მონიტორში გავლისას გამოიწვიეს რადიაციული განგაში.
- 2024 წლის 27 აგვისტოს განხორციელდა რეაგირება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე.
- 2024 წლის 25 სექტემბერს მოქალაქის მომართვის საფუძველზე განხორციელდა ქ. ბათუმში, გონიოს დასახლება, ანდრია პირველწოდებულის N56 მისამართის მიმდებარე ტერიტორიის რადიაციული მონიტორინგი.
- 2024 წლის 15 ოქტომბერს განხორციელდა საბჭოური წარმოების დოზიმეტრზე DP-5-ზე დამონტაჟებული რადიოაქტიური ნივთიერების ამოღება.






2024 წლის განმავლობაში ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტებმა განხორციელეს სააგენტოს დებულებით განსაზღვრული სერვისები - რადიომეტრიული გაზომვები, კერძოდ:

- 2024 წლის 1-იანვარს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება;
- მოქ. გ. ფოჩხუას მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა 100 მ2 საცხოვრებელი ფართის დოზიმეტრიული გაზომვები;
- მოქ. გ. გედევანიშვილის მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა კომერციული ფართის დოზიმეტრიული გაზომვები;
- 2024 წლის 29 აგვისტოს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება;
- 2024 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება.
- 2024 წლის 16 დეკემბერს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება.


გარემოს რადიაციული მონიტორინგი

ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის მიერ 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა გარემოს ბუნებრივი რადიაციული ფონის მონიტორინგი, გარემოს რადიაციული ფონის მონიტორინგის ავტომატური სადგურების საშუალებით ლოკაციებზე: თბილისი, თელავი, მესტია, სარფი, ფოთი.

გარემოს რადიაციული მონიტორინგის შედეგების ვიზუალიზაცია 2024 წლის განმავლობაში ადგილმდებარეობის მიხედვით (დოზის სიმძლავრე განსაზღვრულია მკვ/სთ-ში)



გარემოს მონიტორინგის სადგურების მონაცემების შედარება ლოკაციების მიხედვით



გარემოს რადიაციული მონიტორინგის შედეგად ქ. თბილისში საშუალო მონაცემებით ბუნებრივმა რადიაციულმა ფონმა შეადგინა: 0.096 მკბვ/სთ-ში, თელავში - 0.114 მკბვ/სთ-ში, მესტიაში - 0.171 მკბვ/სთ-ში, სარფში - 0.097 მკბვ/სთ-ში, ფოთში - 0.074 მკბვ/სთ-ში. ყველა სადგურისთვის საშუალო თვიური ბუნებრივი რადიაციული ფონი მერყეობს: 0.106 მკბვ/სთ-დან 0.114 მკბვ/სთ-მდე. ბუნებრივი რადიაციული ფონის მაჩვენებლების განსხვავება გამოწვეულია გეოგრაფიული და გეოლოგიური პირობებით. რადიაციული ფონის ანომალიური გადახრა არ დაფიქსირებულა, დობის სიმძლავრის მნიშვნელობა თვეების მიხედვით ერთგვაროვანია, არ ჰქონდა ადგილი რადიოლოგიურ განგაშს და შესაბამისად არც რადიოლოგიური ინციდენტის განვითარებას.

2020 წელს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ბირთვული ავარიის შემთხვევაში საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მზადყოფნის გაძლიერება“ ფარგლებში სააგენტოს გადმოეცა 1 000 000 ევროს ღირებულების მობილური ლაბორატორია. მობილურ ლაბორატორიაში დამონტაჟებული მოწყობილობების საშუალებით შესაძლებელია წყლის, ნიადაგისა და ჰაერის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევისა და ანალიზის სავსელე პირობებში ჩატარება.

2024 წელს მობილური ლაბორატორიის მეშვეობით გურიასა და სამეგრელოში განხორციელდა რადიაციის ფონური მაჩვენებლების მონიტორინგი. აღნიშნულ რეგიონებში რადიაციული ფონის მომატება არ დაფიქსირებულა.



საქართველო რადიაციის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემას შეუერთდა

საქართველო ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რადიაციის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემას (IRMIS) შეუერთდა. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მფლობელობაში არსებული გარემოს რადიაციული ფონის მონიტორინგის სადგურებიდან გამა გამოსხივების დოზის სიმძლავრის მაჩვენებლები ავტომატურად მიეწოდება IRMIS სისტემას და მიმდინარე რეჟიმში აისახება საერთაშორისო რუკაზე.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით შექმნილი IRMIS სისტემა მნიშვნელოვანი მექანიზმია ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციების ადრეული შეტყობინებისა და რეაგირების მართვის პროცესში. სისტემაში ჩართული სახელმწიფოების მონაცემები ბუნებრივი რადიაციული ფონის მიმდინარე რეჟიმში მონიტორინგისა და შესაბამისად, ეფექტიანი გადაწყვეტილებების დროული მიღების შესაძლებლობას იძლევა.


ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინციდენტებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრის დირექტორის განცხადებით, ამგვარი ჩართულობა მნიშვნელოვნად აძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობას მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნებისთვის.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ რადიაციული ფონის მონიტორინგის სადგურებზე განხორციელებული ტექნიკური ღონისძიებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შედეგად, საქართველომ შეიძინა IRMIS სისტემის რიგით 50-ე კონტრიბუტორი სახელმწიფოს სტატუსი.

რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, დეპარტამენტმა განახორციელა აქტივობები რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, საერთაშორისო პროექტებისა და დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეროვნული პროექტის GEO/9/015 ფარგლებში მოწვეულ ფრანგ და გერმანელ ექსპერტებთან ერთად, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე მოწყობილ მსუბუქი კონსტრუქციის შენობაში, განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების კასრებში დამწნეხი და ნარჩენების მასელექცირებელი მოწყობილობის ინსტალაცია. ორივე დანადგარი მომავალში გადატანილი იქნება რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოში, მისი აშენების შემდგომ.



2024 წელს, „გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავდა ეროვნული მოხსენება, რომელიც წარდგენილი იქნა განსახილველად ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შესაბამის დანაყოფში. ეროვნულ მოხსენებაში ასახულია სქართველოში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სფეროში ბოლო სამი წელის განმავლობაში განხორციელებული ქმედებები.

2024 წელს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოველწლიური 68-ე გენერალური კონფერენციის ფარგლებში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ მომზადებული და წარდგენილი იქნა მოხსენება „ისტორიული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის საუკეთესო პრაქტიკა საქართველოში“.



აშშ ენერგეტიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით სრულად განახლდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავის ელექტრო გაყვანილობა და ფიზიკური დაცვის სისტემები.



საანგარიშო პერიოდში, მარეგულირებელი ორგანოსთან შეთანხმებული დეკომისიის გეგმის შესაბამისად, განხორციელდა სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეორადი სტანდარტების ლაბორატორიის კუთვნილი AGAT-M დანადგარის დემონტაჟი. დანადგარი შეიცავდა 83 კიური აქტივობის Co60 რადიოაქტიურ წყაროს, რომლიც მოთავსებულია 600 კგ გადარიბებული ურანის თავაკში (600 კგ). გადარიბებული ურანის თავაკი რადიოაქტიურ წყაროსთან ერთად ჩახსნილი იქნა დანადგარიდან და უსაფრთხოების ზომების დაცვით განთავსებული იქნა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში. აღნიშნული რადიოაქტიური წყაროს ტრანსპორტირება განხორციელდა სააგენტოს კუთვნილი, შესაბამისი დაცვის მქონე, სატრანსპორტო საშუალებით.



2024 წელს შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოს მხარდაჭერით განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტეროტორიაზე არსებული მიწისქვეშა ავზის რეკონსტრუქცია, რომლის მიზანი იყო ავზის გამოყენება რადიონუკლიდებით დაბინძურებული ნიადაგის შესანახად. თავდაპირველად ჩატარდა დაგეგმილი ღონისძიებების უსაფრთხოების შეფასება. უსაფრთხოების ზომების გაზრდის მიზნით, ავზის თავზე დამონტაჟდა ბეტონის კონსტრუქცია მოძრავი ჰორიზონტალური სახურავით.

მიწისქვეშა ავზში განთავსებული იქნა საქართველოს მასშტაბით მოჭრილი და შეგროვებული რადიაციულად დაბინძურებული ნიადაგი:

- დაბა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა კვლევის ყოფილი ინსტიტუტი - 16 ჩანთა და 200 ლიტრის მოცულობის 28 კასრი
- ქუთაისი - 16 ჩანთა და 200 ლიტრის მოცულობის 5 კასრი
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 200 ლიტრის მოცულობის 4 კასრი

საანგარიშო პერიოდში, რადიოაქტიური ნარჩენების საცავში, განხორციელდა 60 ერთეული რადიოაქტიური წყაროს კონდიცირება.



რადიაციულად დაბინძურებული ტერიტორიის დეკონტამინაცია

2023 წელს რადიოაქტიური წყაროების საძიებო ღონისძიების დროს რადიოლოგიური მონიტორინგის შედეგად ქ. ქუთაისში, მეტალურგიული ქარხნის (შპს „ამბიკონ სტილს“) ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა რადიოაქტიური ნივთიერებით ($Cs137$) დაბინძურებული 3 ლაქა. 2024 წელს სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა ამ დაბინძურებული ტერიტორიების დეკონტამინაცია. აღნიშნული ტერიტორიიდან მოჭრილი და შეგროვებული იქნა რადიაციულად დაბინძურებული ნიადაგი, რის შემდეგაც განხორციელდა წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირება და განთავსება რადიოაქტიური ნარჩენების საცავში უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.



ბირთვული მასალების კონტროლი

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა ბირთვული მასალების მფლობელი 6 ორგანიზაციის ინსპექტირება, აღრიცხვიანობაში დარღვევები არ გამოვლენილა.

„ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის და მისი დამატებითი ოქმის შესაბამისი ანგარიშები წარდგენილია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად.

წარმატებით ჩატარდა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გარანტიების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ინსპექტირება საქართველოში არსებული ბირთვული მასალების კონტროლის შესახებ.

დარიშხანის შემცველი ნარჩენების სისტემური მართვა

ლენტეხის რაიონში არსებული დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილებზე რთული ეკოლოგიური ვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არის ცნობილი. ლენტეხში სამთო-ქიმიური ქარხნები აშენდა და ფუნქციონირება დაიწყო გასული საუკუნის 30-იან წლებში. საწარმომ 90-იანი წლების დასაწყისიდან შეწყვიტა ფუნქციონირება, მადნის ამოღება და გადამუშავება. ქარხნები დაინგრა და ათასობით ტონა დარიშხანშემცველი ნარჩენები მიტოვებული იქნა ღია ცის ქვეშ ყოველგვარი კონტროლის გარეშე.

2022 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო განისაზღვრა დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილების სისტემური მართვის, მოვლა-პატრონობის, ფიზიკური დაცვის კომპლექსური სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების განმახორციელებელ ორგანოდ. შესაბამისად, შევიდა ცვლილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 24 დეკემბრის N237 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს დებულებაში.

სააგენტოს მიერ შესწავლილი იქნა წინა წლებში განხორციელებული შეფასებები და ადგილზე არსებული ვითარება. ცანა 1, ცანა 3 და ურავი 1 ტერიტორიები გადმოეცა (მოსარგებლედ დარეგისტრირდა) სააგენტოს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა პრიორიტეტები და განხორციელდა პირველადი დაცვითი ღონისძიებები.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული დარიშხანის შემცველი ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების გაწმენდისა და მათი უსაფრთხო განთავსების მიზნით, ცანა 3 ლოკაციაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სარკოფაგის აშენების შესახებ.

პირველ ეტაპზე, 2023 წლის ოქტომბერში, დასრულდა დარიშხანის შემცველი ნარჩენებით დაბინძურებული სამი ლოკაციის, კერძოდ, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ცანა 1, ცანა 3 და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ურავი 1 შემოღობვა, რითიც შეზღუდული იქნა სახიფათო ტერიტორიაზე ადამიანისა და ცხოველების დაშვება, შესაბამისად გაიზარდა უსაფრთხოების ზომები მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნით. შემოღობილი ტერიტორიების კარებზე და ღობეზე განთავსებულია შესაბამისი საფრთხის ნიშნები.



ცანა 1



ურავი 1

შემოღობვის დასრულების შემდეგ, ცანა 1 და ცანა 3 მიმდებარე ტერიტორიაზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამის დანაყოფთან (ქბრბ სამმართველო) ერთად, განხორციელდა ღობის გარეთ დარჩენილი დარიშხანის შემცველი კასრების შეგროვება და დაცულ ტერიტორიაზე განთავსება.



ზემოთ აღწერილი სამუშაოების გარდა, სააგენტომ პარალელურად განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- შემუშავდა დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის პროექტი;
- შემუშავდა დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად, რის შემდეგაც სააგენტომ მიიღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
- სარკოფაგის მშენებლობის დასაწყებად სააგენტომ მიიღო, კანონმდებლობის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა;
- სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი მეორე ეტაპის განსახორციელებლად.

სარკოფაგის პროექტი

მეორე ეტაპის ფარგლებში, მიმდინარე წლის ნოემბერში, დასრულდა სამუშაოები სარკოფაგის აღმოსავლეთით, მდინარე ყორულდაშის, მონოლითური რკინაბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის, წყალგამტარი არხისა და სალექარის მშენებლობა. კერძოდ, მოეწყო 224 მეტრი სიგრძის დამცავი ჯებირი, რომელიც დაიცავს სარკოფაგს წარეცხვისაგან წყალდიდობის შემთხვევაში. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გაკეთდა 350 მეტრის სიგრძის რკინაბეტონის არხი, რომელიც უზრუნველყოფს სარკოფაგის ტერიტორიის დაცვას დატბორვისა და დაჭაობებისგან.



2025 – 2026 წლებში იგეგმება სარკოფაგის მშენებლობის მესამე და მეოთხე ეტაპების განხორციელება. 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში დასრულდება სარკოფაგის მშენებლობა, შესაბამისად დარიშხანის ნარჩენებით შექმნილი, მრავალწლიანი, პრობლემა სრულად იქნება მოგვარებული.



სააგენტოს სპეციალისტების რადიაციული დაცვა

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტების მიერ, ადამიანისა და გარემოს რადიაციისგან დაცვის მიზნით, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მათ მიერ მიღებული დასხივების დოზები არ აღემატება დადგენილ წლიურ მაჩვენებლებს.